



№ 325/1

26 06 2018

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
 ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 15 თებერვლის N1325/01 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება „11 მგვტ სიმძლავრის რაჭა ჰესის ექსპლუატაციის“ პროექტის 2014 წლის 25 მარტის N12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პირობის შესრულების საკითხს, გაცნობებთ, რომ „რაჭა ჰესი“-ს სათავე ნაგებობების ზედა ბიეფში ღვარცოფმაფორმირებელი ნაგებობების მოწყობის მიზანშეწონილობის დადგენის, მისი ტიპისა და ადგილმდებარეობის შერჩევის მიზნით, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ მოწვეული კვალიფიციური ინჟინერ-გეოლოგის დახმარებით, მიმდინარე წლის გაზაფხულიდან დღემდე (წყალუხვობის სრულ პერიოდში) დამატებით ახდენს დაკვირვებას მდინარის კალაპოტში მიმდინარე პროცესებზე. დაკვირვებები დაწყებულია 2016 წლის ადრეული გაზაფხულიდან.

როგორც გასულ წლებში, ისე მიმდინარე წელს, დაკვირვების შედეგად მდ. რიცეულას ხეობაში დაფიქსირდა მხოლოდ რამდენიმე ღვარცოფული ტიპის წყალმოვარდნის ფაქტი, რომლის დროსაც სრულად გახსნილი იყო კაშხალის ფარები, საიდანაც ხდებოდა მოვარდნილი ნაკადის გატარება ზედა ბიეფიდან ქვედა ბიეფში. შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ დაკვირვების სრული პერიოდის განმავლობაში, სადგურის არსებული ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს სადგურისა და გარემოს დაცვას იმ შესაძლო უარყოფითი შედეგებისაგან, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას რაიმე სახის ღვარცოფული ტიპის წყალმოვარდნით.

რაც შეეხება „11 მგვტ სიმძლავრის „რაჭა ჰესი“-ს ექსპლუატაცია“-ს“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-განვითარებასთან დაკავშირებით მოცემულ ინფორმაციას, განვმარტავთ, რომ დოკუმენტში საუბარია არა მდინარე რიცეულას შესაძლო ღვარცოფული ნაკადების დამანგრეველ ზემოქმედებაზე, არამედ ძლიერი წვიმების, უფრო კონკრეტულად კი სეტყვის შედეგად ფორმირებულ ღვარცოფულ ნაკადებზე, რისი თავიდან აცილების მიზნით კომპანიას ექსპლუატაციის ფაზაზე გათვალისწინებული აქვს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, როგორც წესი ღვარცოფი ფორმირდება თავსხმა წვიმების შედეგად, თუ მდინარეს გააჩნია ღვარცოფმაფორმირებელი გეოლოგიური პერები და არა სეტყვის დროს.



ქ. თბილისი, 0177 გაზაფხულის ქ. №18
 18, GAZAPKHULI STR, 0177 TBILISI, GEORGIA
 Tel.: +(995 32) 2 21 01 87
 E-mail: giec@giec.ge



გაცნობებთ, რომ „რაჭა ჰესი“-ს რეაბილიტაცია მოიცავდა ძველი კაშხლის მაგივრად ახალი ტიპის კაშხლის მოწყობას, რომელსაც წყალდიდობების პერიოდში უნდა უზრუნველყო წყლის მაქსიმალური ხარჯების და მოსალოდნელი ღვარცოფული ნაკადების გატარება, რისთვისაც მის ტანში გათვალისწინებულია ორი დიდი ზომის გამრეცხი ფარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 3 წლიანი გეოლოგიური დაკვირვებების შედეგად მდ. რიცეულას ხეობაში პერიოდულობით ძირითადად დაფიქსირდა წყალმოვარდნები და დაბალი სიმკვრივის ღვარცოფული ნაკადები. უშუალოდ ღვარცოფმაფორმირებელი კერები გამოვლინდა მდ. რიცეულას შენაკადების ზედა წელში, ხეობათა ფერდობების ცალკეულ უბნებზე, რომელთა წყალსადინარებში ტრანსპორტირებული მყარი ნატანი ასწრებს აკუმულირებას და მხოლოდ დაბალი სიმკვრივის წყალ-ტალახიანი და იშვიათად წყალ-ქვიანი ნაკადების სახით აღწევს სათავე ნაგებობებამდე.

გამომდინარე იქიდან, რომ ღვარცოფმაფორმირებელი მეწყერულ-გრავიტაციული კერები სათავე ნაგებობებიდან დიდი მანძილით არის დაშორებული, მათი დამანგრეველი ენერგია ფაქტიურად ვეღარ აღწევს სათავე ნაგებობამდე. ტრანსპორტირებული მყარი მასალა ავსებს მცირე წყალსაცავის მხოლოდ ნაწილს, თუმცა ფარების სრულად გახსნის შედეგად არ იწვევს ნაგებობების დაზიანებას და თვითდინებით გადაედინება ზედა ბიეფიდან ქვედა ბიეფში.

ინჟინერ-გეოლოგის დასკვნის თანახმად „აღნიშნული პროცესი ჩვეულებრივი მოვლენაა მთის ტიპის მდინარეების შემთხვევაში და რაიმე განსაკუთრებულ საშიშროებას ვერ შეუქმნის მცირე გაბარიტების მქონე კაშხალს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ნაკადმიმმართველს წყალმიმღები ნაგებობებისთვის“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ მოხდეს საკითხის სრულყოფილად შესწავლა, მოგმართავთ თხოვნით, რათა თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობით მოხდეს მდინარე რიცეულას ხეობაში ღვარცოფული ნაკადების ფორმირებისა და სათავე ნაგებობებთან მიმართებაში მათი უარყოფითი ზემოქმედების რისკების შეფასება, ხოლო მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდეს 2014 წლის 25 მარტის №12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პირობის შეცვლა/კორექტირებაზე მსჯელობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ თქვენს მიერ მიღებული ობიექტური გადაწყვეტილება გაანთავისუფლებს კომპანიას „მუდმივად შეუსრულებელი“, თუმცა კვლევების თანახმად არაგონივრული ვალდებულებისგან.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

დანართი: გეოდინამიკური პროცესების ვიზუალური შეფასების 2017 წლის ანგარიში - 31 ფურცლად;

პატივისცემით,

მალხაზ იასეშვილი

საოპერაციო დირექტორი

